

საქართველოს კანონი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №38(45), 1999 წელი, მუხ. 182) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) ბანდეროლების, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნით ადმინისტრაციის კონტროლით, იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრულ სასჯელადსრულების დაწესებულებებში.“;

2. 26-ე მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება იმ სასჯელადსრულების დაწესებულებათა ნუსხა, რომლებშიც დაიშვება ბანდეროლების, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 13 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი